# თემთა ინიციატივა

იყავი აქტიური!!! მიიღე მონაწილეობა მართვაში

№5 / 2008წ / ყოველთვიური ჩანართი


# გზის რეაბილიტაცია – უპირველესი პრობლემა



*მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში გზების უმრავლესობა საშინელ მდგომარეობაშია*





აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ მუხლი 20, პუნქტი 1 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს, რომ - „საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის“. — რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მოსახლეობის მხრიდან წამოსულ პრობლემებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. მომავალი წლის ბიუჯეტი დაგეგმვა იწყება ათი თვით ადრე, ანუ მარტის დასაწყისიდან (მაგალითად: 2009 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა 2008 წლის პირველი მარტიდან უნდა დაწყებულიყო) მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უნდა ხდებოდეს მოსახლეობის აზრის კვლევა და მათ მიერ არჩეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინება ბიუჯეტში. ეს კანონია თუმცა რეალური სურათი სხვანაირად გამოიყურება.

**როგროც კვლევის შედეგებმა აჩვენა (რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში ახორციელებს) აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) 63 თემში ხელისუფლების მხრიდან არცერთი საბიუჯეტო კვლევა არ ჩატარებულა, რომელშიც მოსახლეობა მიიღებდა მონაწილეობას.**

ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს ამტკიცებენ, ხოლო მიზნობრივი პროგრამები ამის შემდეგ შეაქვთ საკრებულოში განსახილველად, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა. რადგან ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს მიზნობრივი პროგრამებისაგან, სადაც დეტალურადა იქნება აღწერილი პრობლემა, რომელიც ამ დაფინანსების ფარგლებში უნდა მოგვარდეს.

2007 წლის ნოემბრიდან „ინტელექტმა“ დაიწყო პროექტი „თემა მობილიზაციის ინიციატივა“, რომლის ფარგლებში აჭარის 63 თემში ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრება ამ თემებში არსებული პრობლემების გამოკვეთის მიზნით.

63 პრობლემიდან 26 თემში - დეკანაშვილების, რიყეთის, დიოკნისის, ხიხაძირის, ფუშრუკაულის, დაბა ხულოს, საჩინოს, ქაქუთის, ჭახათის, აჭყვისთავის, ალამბარის, ლელვას, ზენითის, გვარას, ციხისძირის, დაბა ჩაქვის, სოფ. ქობულეთის, მუხაესტატეს, ბობოყვათის, დაგვას, კირნათის, მახინჯაურის, ურეხის, პირველი მაისის, ჭვანის და ზამლეთის თემებში ყველაზე აქტუალურ პრობლემად ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია დასახელდა. თუმცა პრობლემის სიმწვავე ყველა თემში სხვადახვაგვარია. ზოგი ბენეფიციართა რაოდენობით განსხვავდება, ზოგი პრობლემის სიმწვავით და ა.შ. გზის ცუდ მდგომარეობაში ყოფნის გამო თემშები შეზღუდულია სამგზავრო ტრანსპორტის მიმოსვლა, რის გამოც მოსახლეობას ექმნება დანიშნულების ადგილამდე მისვლის პრობლემა. (განსაკუთრებით მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელიც დასაქმებულია და ყოველდღიურად უხდებათ სამგზავრო ტრანსპორტით სარგებლობა).

პრობლემები ყველგან ერთნაირია, მათი მოგვარების გზას კი ყველა სხვადასხვაგვარად ხედავს. როგორც კვლევებმა აჩვენა, ყველაზე მწვავედ გზის პრობლემა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ციხისძირის თემის სოფელ შუაღელეს აწუხებს. მოსახლეობის თქმით, სოფელი გზის არქონის გამო მოწყვეტილია თემის ცენტრს და მეზობელ სოფლებს. მართალია აქ სულ 25 ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ პირობები გაუსაძლისია. ადგილობრივებს ცენტრთან დასაკავშირებლად კილომეტრნახევრიანი შემოვლითი გზის გავლა უწევთ. „ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ მიცვალებულსაც ვერ ვაცილებთ უკანასკნელ გზაზე ნორმალურად. მდინარეში თუ არ შევედით და ისე არ გადავიყვანეთ საპირისპირო მხარეს.“ - ამბობს შუაღელის მკვიდრი. „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამდენი რამ კეთდება, ჩვენი პრობლემის მოსავლელად ვერავინ მოიცალა. ყველგან რაღაცას აკეთებენ ჩვენ კი ყურადღებას არსად არ გვაქცევენ, მიუხედავად საკრებულოში და გამგეობაში გაგზავნილი არაერთი მოთხოვნისა.“ პრობლემის დეტალურად შესასწავლად „ინტელექტის“ ექსპერტები და პროექტის ინჟინერი ადგილზე მივიდნენ და აღმოჩნდა, რომ ხიდი, რომელიც შუაღელეში მცხოვრებ 25 ოჯახს თემის ცენტრთან აკავშირებდა, შემოვლით გზას მიუეკუთვნება და ამ სოფლის ცენტრალური გზა სწორედ იმ კილომეტრნახევრიანი მონაკვეთისგან შედგება, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ზემოთაღნიშნული სოფლებიდან მოსახლეობის 85% დაკავებულია სოფლის მეურნეობით და მათი საარსებო წყარო სწორედ გზასთან არის დაკავშირებული: „სოფლის მოსახლეობას სჭირდება ნორმალური გზა, რომ თავისი ხელით მოყვანილ პროდუქციას რეალიზაცია გაუწიოს“ - ამბობენ ქედის მუნიციპალიტეტში. „ვერანაირი ტრანსპორტი ვერ დავითანხმეთ ამ საშინელ გზაზე ამოსასვლელად, რომ ქალაქში სურსათი გასაყიდად გადავიტანოთ“.

გზის 7 კილომეტრიანი მანძილის რეაბილიტაციას ითხოვენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჩინოს თემის მოსახლეობაც, მაგრამ მიზეზი აქ სხვაგვარია: „სკოლასთან მისასვლელი გზა ფაქტიურად არ არის, უამინდობა ჩვენთანაც დიდი პრობლემაა, რადგან წვიმიან ამინდში ბავშვების გადაადგილება ძალიან რთულია“. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ გზაზე, მდინარესთან ახლოს ორ წერტილზე გზის გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, მიზეზი კი დიდი ხნის გაურემონტებელობა და ნიადაგის ეროზია გახლავთ. ამ სოფელში ბენეფიციართა რაოდენობა 1000-მდე ადამიანს შეადგენს.

ოცდაექვსივე თემში (სადაც ყველაზე აქტუალურ პრობლემად სოფლის ცენტრთან მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია დასახელდა) გზა საჭიროებს მოხრეშვას და მოასფალტებას, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის ფუშრუკაულის თემის მოსახლეობამ საგაზაფხულო იალაღებისკენ მიმავალი გზების რეაბილიტაცია ისურვა, რადგან დიდთოვლობის და ხშირი მეწყერის გამო გზა საშინელ მდგომარებაშია, ფაქტიურად შეუძლებელია მანქანის მოძრაობა სოფლიდან იალაღის მიმართულებით: „არ ვითხოვთ ასფალტის დაგებას, მარტო გზის გაყვანა და გაწმენდა გვინდა“.

**არსებული პრობლემების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს როგორც მოსახლეობის გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ასევე აღდგენილი ინფრასტრუქტურა საკმაოდ მიმზიდველი გახდება კერძო ბიზნესისათვის. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა კი ერთ-ერთ მთავარ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ტურიზმის სექტორის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის.**

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ კვლევის შედეგები წარუდგინა აჭარის ხუთი (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოებს და გამგეობებს, რომლებმაც ეს შედეგები გამოიყენეს და დღეისათვის ცდილობენ სწორედ ის პრობლემები აღმოფხვრან, რომელთა მოგვარების ინიციატივა მოსახლეობის მხრიდან წამოვიდა.

პრობლემები პრობლემებად რჩება. ქვეყანა კი წინასაარჩევნო ციებ-ცხელების ქარცეცხლშია. ხალხის ხმების მისაღებად ხელისუფლებამ თითქოსდა დაიწყო მოსახლეობის საერთო პრობლემებზე ზრუნვა. ამას შეუიარაღებელი თვალითაც დაინახავს ნებისმიერი მსურველი, ვინც ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი თემის ან სოფლის გზაზე გაივლის, სამუშაოები დაწყებულია, ხოლო რა იქნება არჩევნების შემდეგ ამას დრო გვიჩვენებს...

# რისთვის არსებობენ ინიციატივიანი ადამიანები და რას აკეთებენ საინიციატივო ჯგუფები



*საინიციატივო ჯგუფის წევრები ტრენინგ ზე*

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ 2007 წლის ოქტომბრიდან ახალი პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ განხორციელება დაიწყო. (პროექტის მიზნებზე და ამოცანებზე ჩვენი ჩანართის წინა ნომრებში ვისაუბრეთ და მკითხველის ყურადღებას ამაზე აღარ შევაჩერებ) რომლის ფარგლებში აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრებები თემის აქტუალური პრობლემის გამოსავლენად. ამავე კრებებზე ჩამოყალიბებული იქნა საინიციატივო ჯგუფებიც. ჯგუფის წევრები თვით მოსახლეობამ აირჩია.

**რისთვის არის საჭირო საინიციატივო ჯგუფები?**

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დღეისათვის არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თვითმმართველობის სრულფასოვანი განხორციელებისათვის არის „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის. თვითმმართველობის სტრუქტურების წარმომადგენლებს „არ სცალიათ“ და ხშირ შემთხვევაში არ იციან როგორ მოუსმინონ მოსახლეობას, მოსახლეობამ კი არ იცის როგორ გამოყოს მთავარი პრობლემა და როგორ მიიტანოს ეს პრობლემა ამ თვითმმართველობის ორგანოებამდე. ხშირ შემთხვევებში თემში უამრავი პრობლემაა, რომლებიც თემის მოსახლეობას მთლიანად ან მის გარკვეულ ნაწილს, ან სულაც ცალკეულ ოჯახს აწუხებს. მოსახლეობის ერთი ნაწილის პრობლემის მოგვარება მეორე ნაწილს ანაწყენებს: „ჩემი პრობლემა რატომ არ მოაგვარეთო“ და გრძელდება ასე უსასრულოდ. ყველა მოსახლესთვის რთულია იმის ახსნა, რომ მისი ბაღის მოსარწყავი მილი გამგეობის გასაყვანი არ არის.

სწორედ ასეთ დროს არის აუცილებელი საინიციატივო ჯგუფების აქტიურობა. ამ ჯგუფს ბევრი უპირატესობა აქვს რიგით ჩინოვნიკთან შედარებით, რადგან საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან ის ადამიანები, რომლებიც სოფელის მოსახლეობამ აირჩია, რომლებსაც სოფელი პატივს სცემს, რომელთა სიტყვა წონადია, რომლებიც გამოირჩევიან განათლებით, ცოდნით, პასუხისმგებლობით, არიან ინოვატორები, კარგად აქვთ გათავისებული საზოგადოებრივი პრობლემები და მზად არიან იაქტიურონ მათი მოგვარებისათვის.

სწორედ ამ მიზნით, პროექტის ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში, თითოეულ თემში არჩეული იქნა თითო საინიციატივო ჯგუფი. ჯგუფების წევრთა რაოდენობა თემების მიხედვით განსხვავდება (5-დან 20 კაცამდე).

საინიციატივო ჯგუფები გაივლიან ტრენინგებს, რომლებზეც აითვისებენ თემებში არსებული პრობლემების კვლევის და პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდებს, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდებს. მიღებული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს ჯგუფის წევრებს მომავალში ადგილებზე ობიექტურად ჩაატარონ თავიანთ თემებში არსებული პრობლემების კვლევა, განსაზღვრონ პრიორიტეტები, მონაწილეობა მიიღონ გამოკვეთილ პრობლემებზე მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში, განახორციელონ ეფექტური მონიტორინგი ამ მიზნობრივი პროგრამების შესრულებაზე.

# სათემო კავშირი ,,ქედლები“

ჩანართის წინა ნომრებში მკითხველს ვუამბეთ იმ სამი სათემო კავშირის შესახებ, რომლებიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი”-ს პარტნიორები არიან და რომლებთან ერთადაც მიმდინარეობს პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ განხორციელება. ეს სათემო კავშირებია: „მაჭახელა“, „გვანცა“ და „ჩაისუბანი“. ახლა გაგაცნობთ კიდევ ერთ სათემო კავშირს - „ქედლები“, რომელიც ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მუშაობს.

სათემო კავშირი „ქედლები“ დაარსებულია 2003 წელს ,,ქეა საერთაშორისოს“ ხელშეწობით. იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სათემო კავშირია მთელს აჭარაში. „ქედლებს“, დაარსების დღიდან, საქმიანობა არ შეუჩერებია და ბევრი სასარგებლო რამ გაუკეთა ხულოს მუნიციპალიტეტის თემებს.

2003 წლში „ქეას“ ხელშეწყობით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქედლების საშუალო სკოლას. ამავე წელს მინი სტადიონისათვის მშენებლობისათვის შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი. 2004 წელს, თემის მოსახლეობის დახმარებით და სათემო კავშირის ინიციატივით ელექტრო წისქვილი აამუშავეს. 2005 წელს ხულოს მუნიციპალიტეტმა „მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მილების შეძენაზე“ ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც „ქედლებმა“ გაიმარჯვა და ეს პრორექტიც წარმატებით განახორციელა. იმავე წელს „გაეროს მსოფლიოს სასურსათო პროგრამის“ პარტნიორობით გააკეთეს ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაცია. 2005 წელს ასევე მოახერხეს სოფელ ქედლებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებით განხორციელდა. 2006 წელს, იგივე „გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის“ დაფინანსებით დაიწყეს პროექტის - ,,თხილის განაშენიანება ხულოს რაიონის მეწყერ და ზვავსაშიშ ზონებში“ განხორციელება, რომლის ფარგლებში შეირჩა შესაფერისი ადგილები და 16 ჰექტარამდე მიწის ფართობი იქნა ათვისებული. ამავე ორგანიზაციის დაფინანსებით 2007 წელს „ქედლებმა“ ხულოს მუნიციპალიტეტის 14 სოფლის სარწყავ არხებს რებილიტაცია გაუკეთა. 2007 წლის ნოემბრიდან კი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტთან“ ერთად შეუდგა პროექტის - „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“-ს განხორციელებას.

„ინტელექტთან“ ურთიერთობა გასულ წელს დავიწყე პროექტში „თემი და არჩევნები“, რომლის წარმატებით განხორციელების შემდეგ ბატონ ლევან გობაძემ ახალ პროექტში ,,თემთა მობილიზაციის ინიციატივა“-ს განხორციელებისათვის მიმიწვია. მე ვმუშაობ ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში. ჩემი მოვალეობაა თემში მოსახლეობის მობილიზაცია და თემის საერთო კრებების ჩატარების ორგანიზება, რომელიც არც ისე იოლია. მოსახლეობა ჯერ არ არის შეჩვეული პრობლემების საჯაროდ განხილვას და თავიდან ჩართვა უჭირთ, მაგრამ გამოცდილება და როგორც ჩემი ასევე „ინტელექტის“ ავტორიტეტი მეხმარება, რომ ჩემზე დაკისრებული მოვალეობა კარგად შევასრულო. ხელისუფლების მხრიდან ჯერ არ გვქონია პრობლემა, პირიქით ხელს გვიწყობენ. ჩემი და პროექტის მიზანია, რომ მოსახლეობამ ისწავლოს საკუთარი პრობლემის ლობირება, საინიციატივო ჯგუფებმა შეისწავლონ მიზნობრივი პროგრამების წერა და სამომავლოდ არ გაუჭირდნენ საკუთარი პრობლემის მოგვარებაზე ბრძოლა“ - აცხადებს სათემო კავშირ ქედლების თავმჯდომარე ასლან ტუნაძე.

# რა არის მიზნობრივი პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და მუშავდება ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

როგორც წესი, მიზნობრივი პროგრამა მტკიცდება ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად. ის წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს კონკრეტულ სფეროში არსებულ პრობლემას, მისი აქტუალობის დასაბუთებას, პრობლემის გადაჭრის საჭიროებას და ამისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხას, მათი შესრულების ვადებს და ხარჯთაღრიცხვას.

მიზნობრივ პროგრამაში ინფორმაცია ყველა მოქალაქისათვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც საჯარო ინფორმაცია, კანონით მიზნობრივი პროგრამები ხელმისაწვდომია ყველასათვის.

**რისგან შედგება მიზნობრივი პროგრამა?**

მიზნობრივი პროგრამა არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ხდება კონკრეტული სახის ღონისძიებების შესრულება არსებული პრობლემის გადასაჭრელად. იგი უნდა იყოს წარმოდგენილი სტრუქტურიზებულად და მისი შინაარსი უნდა იყოს ნათლად და მკაფიოდ გადმოცემული.

მიზნობრივი პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

1. **პროგრამის სახელწოდება;**
2. **პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი;**
3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი (მათ შორის საანგარიშო წლის ბიუჯეტი);**
4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები** — ამ პუნქტში უნდა მიეთითოს პროგრამის დაფინანსების წყარო და მის განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების ოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა რამოდენიმე წყაროსაგან ფინანსდება, მაშინ უნდა განისაზღვროს მათგან ძირითადი (საიდანაც მეტი დაფინანსებაა დაგეგმილი) და დამატებითი (სხვა დანარჩენი) წყაროები;
5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო** — აქ უნდა მიეთითოს თუ რომელი ორგანოა პასუხისმგებელი მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე;
6. **პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა** — ეს პუნქტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიზნობრივი პროგრამისა, რომელიშიც დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ზოგადი სიტუაცია, არსებული პრობლემები, მისი გამომწვევი მიზეზები და პროგრამის დაფინანსების საჭიროების დასაბუთება. გარდა ამისა, თუ მიზნობრივი პროგრამა ფინანსდება რომელიმე ნორმატიული აქტის საფუძველზე, უნდა მიეთითოს ასევე ის ნორმატიული აქტიც;
7. **პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები** — ნებისმიერ პროგრამას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამოდენიმე მიზანი. ის ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომლის მიღწევა უზრუნველყოფს არსებული პრობლემის მოგვარებას. ყოველი მიზნის გასწვრივ უნდა მიეთითოს მათი წარმატების შეფასების ის ინდიკატორები, რომლითაც უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა;
8. **პროგრამის ამოცანები და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები** — ამ პუნქტში უნდა მიეთითოს მკაფიოდ პროგრამის მიზნების მიღწევის გზები თითოეული მიზნისათვის და ყოველ მათგანს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ისე, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 100-ს. ამასთან ყოველი მათგანის გასწვრივ უნდა მიეთითოს მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები, რომლითაც უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ამოცანის მიღწევა; ამასთან ყოველი ამოცანა უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული მიზნიდან და იყოს დასახული მის შესასრულებლად;
9. **პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია** — ნებისმიერი მიზნობრივი პროგრამა განკუთვნილია სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მისთვის გარკვეული სახის სარგებლის მინიჭებისათვის, შესაბამისად პროგრამის მომხმარებლები უნდა იყვნენ განსაზღვრული გარკვეული კრიტერიუმების და კატეგორიების მიხედვით, მათი რაოდენობა და სარგებლისა თუ დახმარების ოდენობა თითოეული მომხმარებლისათვის;
10. **პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით** — ამ პუნქტში თანმიმდევრობით და პერიოდების მითითებით დეტალურად და მკაფიოდ უნდა იქნას გაწერილი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი განსახორციელებელი საქმიანობა, გამომდინარე კონკრეტული მიზნებიდან და ამოცანებიდან;
11. **პროგრამის დაფინანსება** — აქ დეტალურად უნდა იქნეს გაშიფრული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ღონისძიებისათვის გასაწევი დანახარჯები, თითოეული საქმიანობისათვის საჭირო თანხის რაოდენობა და ერთეულის ფასი, ასევე ხარჯის პროცენტული წილი მთლიან ხარჯებთან მიმართებაში. ამ პუნქტში შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას შენიშვნები;
12. **პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები** — მიზნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული საქმიანობები საჭიროებენ მათ შესყიდვას სხვა პირებისაგან. ამ პუნქტში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვის ობიექტი და მისი განხორციელების ვადები, შესყიდვის ფორმა და მისთვის საჭირო თანხა და შესყიდვის დანიშნულება;
13. **პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი** — ამ პუნქტში მიეთითება ყველა იმ თანამდებობის პირის ფუნქცია, რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში;
14. **დამატებითი ინფორმაცია** — ეს პუნქტი შეიცავს სხვა დამატებით ინფორმაციას, რომელიც ნახსენები არ არის პროგრამის სხვა პუნქტებში. მაგალითად, დამატებითი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსების გაცემის სქემას ან პროგრამის მომხმარებელთა შერჩევის წესს;
15. **პროგრამის შემდგენი ორგანოს ხელმძღვანელის ხელმოწერა, თანამდებობა და სხვა** — პროგრამას ხელს აწერს პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ხელმძღვანელი;
16. **დანართები** — თუ პროგრამა შეიცავს სხვა სახის დამატებით ინფორმაციას, შეიძლება დაერთოს მას დანართის სახით.

**ვინ შეიმუშავებს მიზნობრივ პროგრამას?**

კანონმდებლობის მიხედვით მისი შემუშავების ვალდებულება აკისრია ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს - გამგეობას, თუმცა არ ზღუდავს სხვა ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეების მონაწილეობას მისი დაგეგმვის პროცესში. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება მის შემუშავებაში, მით უფრო მეტად იქნება ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამა და მთლიანად ბიუჯეტი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე.

**ვინ ამტკიცებს მიზნობრივ პროგრამას და ვინ უზრუნველყოფს მის განხორციელებას?**

მიზნობრივ პროგრამებს ბიუჯეტთან ერთად გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო — საკრებულო. დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელია გამგეობა შესაბამისი სამსახურების სახით. მიზნობრივ პროგრამაზე პასუხისმგებელი ორგანო ვალდებულია პერიოდულად ჩააბაროს ანგარიში საკრებულოს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. საკრებულო უფლებამოსილია არ მიიღოს შესაბამისი ორგანოს ანგარიში.

**საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge